

**რექტორის 2012 წლის 25 ივლისის N. 391/03 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ**

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 18 ივლისის N.718 ბრძანების “საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების სიის დამტკიცების შესახებ”.

ვბრძანებ:

I. “ თსსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ” თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 25 ივლისის N.391/03 ბრძანების I პუნქტში “დ” ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“I. “დ” თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ქართულენოვან სექტორზე ჩარიცხულ იქნას რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ელენა რუხაძე.”

II. ბრძანება ეგზავნება რექტორის მოადგილეს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს გ. გიორგობიანს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს გ. ბაქრაძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი